

ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის
N49 ბინაზე, მოქალაქე აკაკი კუხიანიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა ცახელის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაში მცხოვრები მოქალაქე აკაკი კუხიანიძის განცხადება /2012 წლის 26.11 Nკ-9646/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N49 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე აკაკი კუხიანიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ცახელის ქუჩა N5 საცხოვრებელი სახლის N49 ბინაზე /საერთო ფართობი 49,02 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 26,58 კვ.მ, დამხმარე ფართობი 22,44 კვ.მ./ მოქალაქე აკაკი კუხიანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე